საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6718/01
04/07/2022

6718-01-2-202207041227

გიორგი კაპანაძეს

ელ.ფოსტა: [redacted]

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე წლის 30 ივნისს, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული თქვენი #17192 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

2021 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, შემოვიდა 279 განცხადება. რეაგირება განხორციელდა ყველა განცხადებაზე (279).

მათ შორის:
244 განცხადებაზე კომპეტენციის ფარგლებში გაეცა პასუხი;
34 განცხადება განსჯადობის მიხედვით, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, გადაეგზავნა შესაბამის უწყებას, რის შესახებაც ეცნობა განმცხადებელს;
1 განცხადებაზე გაიცა უარი (ინფორმაცია შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას);

სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადება პირველ ეტაპზე ეგზავნება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც თემატიკის გათვალისწინებით, განცხადებას აგზავნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში/დაქვემდებარებულ უწყებაში.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია არის მხოლოდ სამინისტროს დაქვემდებარებული უწყების განსახილველი, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მე-80 მუხლის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი განცხადებას, კომპეტენციის ფარგლებში განსახილველად უგზავნის შესაბამის უწყებას. აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაცია მიეწოდება განმცხადებელს.

თუ მოთხოვნა შეიცავს როგორც სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ასევე დაქვემდებარებული უწყების(ების) განსჯად საკითხებს, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მოთხოვნას უგზავნის სამინისტროს შესაბამის

დეპარტამენტს/დაქვემდებარებულ უწყებას. მათ მიერ კომპეტენციის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ამზადებს საბოლოო პასუხს.

პატივისცემით,

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი